სს „საქართველოს რკინიგზის“ მაგისტრალურ/ ძირითად (“Trunk”) გადაცემის ქსელთან დაშვების შეთავაზების წინადადება (მოწვევის ოფერტა)

პრეამბულა

წინამდებარე დოკუმენტი (შემდგომში – ოფერტა), რომელიც შემუშავებულია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში კომისია) 2018 წლის 06 დეკემბრის № 671/9,2019 წლის 18 აპრილის № 235/19 და 2026 წლის 18 ივნისის Nგ-26-19/281 გადაწყვეტილებით სს „საქართველოს რკინიგზისთვის“ დაკისრებული სპეციფიკური ვალდებულებების და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, არეგულირებს სს „საქართველოს რკინიგზის“ (შემდგომში „ოფერენტი“) მიერ მაგისტრალურ/ძირითად (“trunk”) გადაცემის ქსელთან დაშვების შეთავაზების პირობებს, რომელიც ვრცელდება მაგისტრალურ/ძირითად (“trunk”) გადაცემის ქსელთან დაშვების მსურველი ყველა ავტორიზებული პირის მიმართ (შემდგომში „აქცეპტანტი“ ან „დაშვების მსურელი“).

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

1.1. წინამდებარე მოწვევის ოფერტაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1.1. აქცეპტის დოკუმენტაცია - 2.4 მუხლში მითითებული დოკუმენტები, რომლებიც აქცეპტანტმა უნდა წარუდგინოს ოფერენტს დაშვების პროცედურის ინიცირების მიზნით;
1.1.2. აქცეპტის ფორმა - აქცეპტანტის მიერ მოწვევის ოფერტაში მითითებული პირობების შესაბამისად შევსებული და ოფერენტისთვის წარდგენილი წინამდებარე ოფერტის #1 დანართი;
1.1.3. მომსახურების ხელშეკრულება - მოწვევის ოფერტაზე დაშვების მსურველის მიერ აქცეპტის გაკეთების შემდგომ, ოფერენტსა და აქცეპტანტს შორის გაფორმებული/გასაფორმებელი ხელშეკრულება, მაგისტრალურ/ძირითად (“trunk”) გადაცემის ქსელთან დაშვების მომსახურების შესახებ;

1.2. წინამდებარე მოწვევის ოფერტაში გამოყენებული სხვა ტერმინების მნიშვნელობა განისაზღვრება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს კანონდმებლობის შესაბამისად.

მუხლი 2. მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების პირობები და პროცედურები

2.1. წინამდებარე ოფერტით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების საფუძველს წარმოადგენს ოფერენტსა და აქცეპტანტს შორის გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულება. მომსახურების ხელშეკრულების გაფორმების მიზნით დაშვების მსურველმა ოფერენტს უნდა წარუდგინოს სათანადოდ შევსებული აქცეპტის ფორმა, რომლითაც დადასტურდება, რომ იგი გაეცნო წინამდებარე ოფერტას და აცხადებს უპირობო აქცეპტს ოფერტის ყველა პირობის მიმართ.

2.2. ოფერენტი უზრუნველყოფს დაშვების მსურველისათვის მაგისტრალურ/ძირითად (“trunk”) გადაცემის ქსელთან დაშვებას წინამდებარე მოწვევის ოფერტის #2 დანართში მითითებულ მონაკვეთებზე და გეოგრაფიულ საზღვრებში.
2.3. იმ შემთხვევაში, თუ დაშვების მსურველს ოფერენტის მიმართ გააჩნია შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულება, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაფაროს არსებული

დავალიანება.აღნიშნული ვალდებულების არსებობის შემთხვევაში, მოქმედებს წინამდებარე ოფერტის 2.8 პუნქტით განსაზღვრული წესი.

2.4. დაშვების პროცედურის ინიცირებისათვის, გარდა აქცეპტანტის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი და შევსებული აქცეპტის ფორმისა, აქცეპტანტი ვალდებულია ოფერენტს წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

2.4.1. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად აქცეპტანტის მიერ მოპოვებული/კომისიის მიერ გაცემული ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ავტორიზაციის მოწმობა);

2.4.2. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან აქცეპტანტის შესახებ;

2.4.3. იმ შემთხვევაში, თუ აქცეპტანტს წარმოადგენს მინდობილი პირი, წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ორიგინალი ან დამოწმებული ასლი.

2.5. აქცეპტის დოკუმენტაცია აქცეპტანტმა უნდა წარმოადგინოს წერილობითი ფორმით, ოფერენტის იურიდიულ მისამართზე ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, შემდეგ მისამართზე: Giga.Katcharava@railway.ge.

2.6. იმ აქცეპტანტს, რომელმაც პირველმა წარადგინა მოწვევის ოფერტის პირობებთან სრულად შესაბამისობაში მყოფი აქცეპტის დოკუმენტაცია, ენიჭება უპირატესობა სხვა აქცეპტანტებთან მიმართებით.

2.7. აქცეპტის დოკუმენტაციის წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტით მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში ოფერენტი შეისწავლის მის შესაბამისობას ზემოთ მითითებულ მოთხოვნებთან.

2.8. იმ შემთხვევაში თუ აქცეპტის დოკუმენტაცია წარმოდგენილია არასრულყოფილად ან აქცეპტანტს გააჩნია შეუსრულებლი ფულადი ვალდებულება ოფერენტის მიმართ, ოფერენტი მას განუსაზღვრავს დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენის ან/და არსებული ფულადი ვალდებულების შესრულების 5 (ხუთი) დღიან ვადას. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ, ჩაითვლება, რომ აქცეპტი არ გაკეთებულა.

2.9. იმ შემთხვევაში, თუ ოფერენტს არ გააჩნია აქცეპტის ფორმით მოთხოვნილი მომსახურების გასაწევად თავისუფალი რესურსი, აქცეპტის დოკუმენტაციის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში იგი აცნობებს აღნიშნულის შესახებ აქცეპტანტს და შესაბამისად, ჩაითვლება, რომ აქცეპტი არ გაკეთებულა.

2.10. ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით წარდგენილი აქცეპტის ფორმისა და შესაბამისი დოკუმენტაციის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში დაშვების მსურველ პირს მომსახურების ხელშეკრულების პროექტი გაეგზავნება მის მიერ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე. დაშვების მსურველი პირი ვალდებულია 5 (ხუთი) დღის ვადაში ელექტრონული სახით გაუგზავნოს ოფერენტს შესაძლო შენიშვნები ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებით. ოფერენტი შემდგომი 5 (ხუთი) დღის ვადაში უგზავნის ხელშეკრულების ხელმოწერილ ეგზემპლარებს დაშვების მსურველ პირს, რომელიც ვალდებულია 3 (სამი) დღის ვადაში ოფერენტს გადასცეს ხელშეკრულების თავისი მხრიდან ხელმოწერილი ეგზემპლარი, წინააღმდეგ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ ოფერტაზე აქცეპტი არ განხორციელებულა და ოფერენტსა და დაშვების მსურველ პირს შორის სამართლებრივი ურთიერთობა არ წარმოშობილა.

2.11. მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე ოფერენტის მიერ აქცეპტანტისათვის მომსახურების გაწევა დაიწყება აღნიშნული ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან, იმ პირობით, რომ მოცემულ ვადაში აქცეპტანტი დააკმაყოფილებს მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3. რეგულირებული ტარიფით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხობრივი პარამეტრები და ტექნიკური მომსახურების პირობები

3.1. მომსახურების შესაბამისი მახასიათებლები

ოფერენტი უზრუნველყოფს მომსახურების მიწოდებას შემდეგი ხარისხობრივი პარამეტრებით:

პარამეტრი	გარანტირებული მნიშვნელობა
დაყოვნება (Latency)	არაუმეტეს 100 ms
ჯიტერი (Jitter)	არაუმეტეს 30 ms
დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი (Packet Loss)	არაუმეტეს 1%

3.2. ხარვეზის დაფიქსირების, რეგისტრაციის, კვალიფიკაციისა და პრიორიტეტიზაციის წესები

აქცეპტანტის მიერ შეტყობინებული ხარვეზი რეგისტრირდება ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურში, რის შემდეგაც ხდება მისი ანალიზი, კლასიფიკაცია და შესაბამისი პრიორიტეტის მინიჭება.

ხარვეზის კატეგორია	აღწერა	რეაგირების დრო	აღდგენის მიზნობრივი დრო
კრიტიკული	მომსახურება სრულად მიუწვდომელია	სამუშაო საათებში არაუგვიანეს 1 საათისა არა სამუშაო საათებში არაუგვიანეს 2 საათისა	არაუგვიანეს 24 საათისა
მნიშვნელოვანი	მომსახურება ნაწილობრივ შეზღუდულია ან ხარისხი მნიშვნელოვნად გაუარესებულია	სამუშაო საათებში არაუგვიანეს 2 საათისა არა სამუშაო საათებში არაუგვიანეს 4 საათისა	არაუგვიანეს 48 საათისა
ნაკლებად მნიშვნელოვანი	მომსახურება ფუნქციონირებს, თუმცა აღინიშნება არასერიოზული ხარვეზი ან საჭიროა კონსულტაცია/კონფიგურაცია	არაუგვიანეს 8 სამუშაო საათისა	არაუგვიანეს 72 საათისა

3.3. 24/7 ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფის პირობები და ხარვეზების ესკალაციის პროცედურები

ოფერენტი უზრუნველყოფს ტექნიკურ მხარდაჭერას 24 საათის განმავლობაში, კვირაში 7 დღე.

ხარვეზების შესახებ შეტყობინების მიღება შესაძლებელია ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა შეთანხმებული საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით.

ხარვეზის დროულად აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, იგი ეტაპობრივად ესკალირდება:

- I დონე – ქსელის/სისტემების ინჟინერი;

- II დონე – უფროსი ტექნიკური სპეციალისტი
- III დონე – პასუხისმგებელი მენეჯერი.

ესკალაციის პროცესი გრძელდება ხარვეზის სრულ აღმოფხვრამდე.

3.4 დაგეგმილი ტექნიკური სამუშაოების შესახებ წინასწარი შეტყობინების ვადები და პირობები

დაგეგმილი ტექნიკური სამუშაოების შესახებ აქცეპტანტს ეცნობება არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე, ელექტრონული ფოსტის ან მხარეთა შორის შეთანხმებული კომუნიკაციის სხვა საშუალებით.

გადაუდებელი ტექნიკური სამუშაოების აუცილებლობის შემთხვევაში, აქცეპტანტს ეცნობება სამუშაოების დაწყებამდე შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში. ოფერენტი უზრუნველყოფს ყველა გონივრული ღონისძიების გატარებას მომსახურების შეწყვეტის ან შეფერხების ხანგრძლივობის მინიმუმამდე დასაყვანად.

მუხლი 4. დამატებითი სიმძლავრის გამოყოფის წესი

4.1. მომსახურების ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში ნებისმიერ დროს, იმ პირობით, რომ მოცემული მომენტისათვის აქცეპტანტს შესრულებული აქვს ოფერენტის მიმართ ყველა ფულადი ვალდებულება, აქცეპტანტი უფლებამოსილია მოითხოვოს მომსახურებისთვის დამატებითი სიმძლავრის გამოყოფა. ასეთი წერილობითი მოთხოვნის მიღების შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ ოფერენტს აქვს შესაბამისი რესურსი, ოფერენტი და აქცეპტანტი გააფორმებენ შესაბამის ცვლილებას მომსახურების ხელშეკრულებაში. ცვლილების გაფორმება ხდება ამ მუხლით განსაზღვრული პირობებისა და ვადების ანალოგიურად.

მუხლი 5. თანალოკაციის ფართით სარგებლობის პირობები და საფასური

5.1. ოფერენტის მიმართ ფულადი ვადებულებების არარსებობის, აქცეპტანტის წერილობითი მოთხოვნისა და თავისუფალი ფართის არსებობის შემთხვევაში, ოფერენტი მოახდენს თანალოკაციის ფართობით სარგებლობის უზრუნველყოფას.
5.2. თანალოკაციის ფართობზე აქცეპტანტის დაშვება და მისი ტექნიკური საშუალებების განთავსებისა და საოპერაციო მომსახურების განხორციელების უზრუნველყოფა შესაძლებელია ქალაქ თბილისში, თამარ მეფის გამზ.15-ში; სადაც ოფერენტი უზრუნველყოფს არასანქცირებული შეღწევისგან დაცვას და აქცეპტანტის მომსახურე პერსონალის დაშვებას წინასწარი წერილობითი შეთანხმებით..
5.3. ოფერენტის თანალოკაციის ფართებზე აქცეპტანტის მოწყობილობის განთავსების 1 თვის საფასური, გაბარიტების მიხედვით, შეადგენს: 1მ x 1მ x 1მ ტოლ ან ნაკლებ გაბარიტებზე 700 (შვიდასი) ლარს, ხოლო ნებისმიერი განზომილების ყოველ დამატებით 0,5 მ-მდე - 100 (ასი) ლარს (გადასახადების გარეშე).
5.4. 5.1. პუნქტით განსაზღვრული შემთხვევის არსებობის პირობებში, ოფერენტი და აქცეპტანტი გააფორმებენ შესაბამის ცვლილებას მომსახურების ხელშეკრულებაში. ცვლილების გაფორმება ხდება მე-4 მუხლით განსაზღვრული პირობებისა და ვადების ანალოგიურად.
5.5. 5.3. პუნქტით განსაზღვრული საფასურები შეიძლება ნებისმიერ დროს შეიცვალოს ოფერენტის მიერ ცალმხრივად, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე. კანონმდებლობით და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, წინამდებარე ოფერტაში ცვლილების შემთხვევაში აქცეპტანტისთვის ავტომატურად იცვლება ამ მუხლით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების ოდენობა.

მუხლი 6. ტესტირება, ხარვეზის აღმოფხვრის ვალდებულება და პასუხისმგებლობა

6.1. მომსახურების მისაღებად აქცეპტანტი ვალდებულია საკუთარი ძალისხმევით, სახსრებითა და რისკით უზრუნველყოს მიერთება #2 დანართში მითითებული შესაბამისი მონაკვეთის დაშვების წერტილზე.
6.2. დაშვების პროცედურების დასრულების შემდეგ 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში მხარეებმა უნდა განხორციელონ აქცეპტანტისთვის გამოყოფილი რესურსების ფიზიკური პარამეტრების ტესტირება, რომელიც გულისხმობს რესურსების მახასიათებლების მოთხოვნილ პარამეტრებთან შესაბამისობის დადგენას („ტესტირება“). ტესტირებას უნდა ესწრებოდნენ ორივე მხარის წარმომადგენლები. ტესტირების დასრულების შემდეგ მხარეებმა უნდა გააფორმონ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც ასახავენ ტესტირების შედეგებს.6.3. მომსახურების ფარგლებში ოფერენტი უზრუნველყოფს მომსახურების შეუფერხებლად მიწოდებას.
6.4. აქცეპტანტი იღებს ვალდებულებას, რომ სამუშაოების ჩატარების დროს დაიცავს უსაფრთხოების ნორმებს, არ დააზიანებს ოფერენტის ქსელს და არ მოახდენს საზიანო ხელშეშლას ან/და არ გამოიწვევს რაიმე სახის შეფერხებას ოფერენტის ქსელის ფუნქციონირებაში.
6.5. საზიანო ხელშეშლის ან სხვა ისეთი გარემოების დადგომისას, რაც საფრთხეს უქმნის ქსელის უსაფთხოებას, თუ სხვა საშუალებით საფრთხის არიდება შეუძლებელია, მხარეები დაუყოვნებლივ მიიღებენ ყველა ზომას ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოსაფხვრელად. საჭიროების შემთხვევაში მხარეები შექმნიან ერთობლივ კომისიას. საზიანო ხელშეშლა გულისხმობს ხელშეშლას, რომელიც საზიანო (მავნე) ზეგავლენას ახდენს მომსახურების ხელშეკრულების მონაწილე მხარის ქსელის ელემენტებზე, აპარატურაზე, მოწყობილობებზე და ნებისმიერ საგანზე, რომელიც შეაფერხებს ან დაუკარგავს მომსახურების ხარისხს ან რაიმე სახის ზეგავლენას მოახდენს ქსელის უსაფრთხოებაზე ან საფრთხეს შეუქმნის მის გამართულ ფუნქციონირებას.
6.6. აქცეპტანტის მხრიდან ამ მუხლით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისა და ოფერენტის ზიანის მიყენების შემთხვევაში, აქცეპტანტს ეკისრება დამდგარი ზიანის დაუყოვნებლივი ანაზღაურების ვალდებულება.
6.7. ოფერენტი ვალდებულია აღმოფხვრას საკუთარი ქსელის ნებისმიერი დაზიანება, რომელიც აფერხებს აქცეპტანტის მიერ მომსახურების მიღებას, გონივრულ ვადაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს კომისიის 2006 წლის 17 მარტის #3 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტით გათვალისწინებულ ვადებს.

მუხლი 7. მომსახურების ტარიფები და ანგარიშსწორების პირობები

7.1. აქცეპტანტისათვის ოფერენტის მიერ გაწეული მომსახურების საფასური („მომსახურების საფასური“) გამოიანგარიშება აქცეპტანტის მიერ ერთ ან/და რამდენიმე მონაკვეთზე მოთხოვნილი სიმძლავრეების ჯამური მოცულობით, N3 დანართში მითითებული ტარიფების შესაბამისად.
7.2. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მომსახურების ხელშეკრულებაში მითითებულ ოფერენტის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით, ყოველი საანგარიშო თვის ბოლო სამუშაო დღეს მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და ოფერენტის მიერ გამოწერილი შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-

ფაქტურის საფუძველზე, აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში. არასრული თვით მომსახურების გაწევის შემთხვევაში, გაწეული მომსახურების ღირებულების დაანგარიშება მოხდება დღეთა პროპორციულად.
7.3. ყოველგვარი გაუგებრობის გამორიცხვის მიზნით, მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ოფერტას მე-5 მუხლით განსაზღვრული მომსახურების ღირებულების გადახდას აქცეპტანტი მოახდენს 7.2. პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად, ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების ღირებულების ოდენობით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
7.4. პირველადი გადასახადი, წინამდებარე ოფერტას N3 დანართით განსაზღვრული მომსახურების ყოველთვიური საფასურის სრული ოდენობით, ექვემდებარება გადახდას მხარეთა მიერ მომსახურების ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში. აღნიშნული პირველადი გადასახადი წარმოადგენს სადეპოზიტო შენატანს და იგი აქცეპტანტს ჩაეთვლება მომსახურების ბოლო თვის საფასურში ან დაფარავს აქცეპტანტის დებიტორულ დავალიანებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მომსახურების ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში, შეწტყვეტიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში ოფერენტი დაუბრუნებს აქცეპტანტს სადეპოზიტო შენატანის აუთვისებელ ნაწილს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
7.5. ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, ოფერენტი განაგრძობს აქცეპტანტისთვის მომსახურების გაწევას იმ პერიოდის განმავლობაში, რომელსაც დაფარავს სადეპოზიტო შენატანი.
7.6. იმ შემთხვევაში თუ, ოფერენტის მხრიდან გაწეული მომსახურების ღირებულება მიაღწევს აქცეპტანტის მიერ განხორციელებული სადეპოზიტო შენატანის ოდენობას, ოფერენტი უფლებამოსილია შეაჩეროს მომსახურების გაწევა.
7.7. 7.5. პუნქტით განსაზღვრული მდგომარეობის დადგომის შემთხვევაში, ოფერენტი უფლებამოსილია დააკისროს აქცეპტანტს პირგასამტეხლოს გადახდა, გადასახდელი თანხის 0,1%–ს ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს ოდენობა გამოიანგარიშება სადეპოზიტო შენატანის ოდენობის ამოწურვის დღიდან (პირგასამტეხლო არ შეიძლება აღემატებოდეს გადასახდელი საფასურის ოდენობის 20%-ს).

7.8.7.7. პუნქტისგან დამოუკიდებლად, ყოველი შემდგომი ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, ოფერენტი უფლებამოსილია დააკისროს აქცეპტანტს პირგასამტეხლოს გადახდა, გადასახდელი თანხის 0,1%–ს ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს ოდენობა გამოიანგარიშება ანგარიშსწორების ვადის დარღვევის დღიდან (პირგასამტეხლო არ შეიძლება აღემატებოდეს გადასახდელი საფასურის ოდენობის 20%-ს).
7.9. იმ შემთხვევაში თუ, აქცეპტანტი ვერ უზრუნველყოფს დავალიანების 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში დაფარვას, ოფერენტი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
7.10. წარმოშობილი დავალიანების დაფარვა არ ათავისუფლებს აქცეპტანტს პირგასამტეხლოს გადახდისგან.

მუხლი 8. ოფერტას მოქმედების ვადა

წინამდებარე მოწვევის ოფერტის განახლებული რედაქცია ძალაში შედის 2026 წლის 16 ივლისიდან და მოქმედებს 3 (სამი) წლის განმავლობაში, თუ კანონმდებლობით ან კომისიის გადაწყვეტილებით სხვა რამ არ განისაზღვრება

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1. წინამდებარე ოფერტასა და მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას შორის სხვაობის ან წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესი ძალა ენიჭება და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, გარდა მომსახურების საფასურის, დაშვების, მათ შორის თანალოკაციის ფართზე დაშვების პირობებისა, რეგულირებული ტარიფით გათვალისწინებული

მომსახურების ხარისხობრივი პარამეტრებისა და ტექნიკური პირობების, აგრეთვე კანონმდებლობით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9.2. წინამდებარე ოფერტის ძალაში შესვლით ძალადაკარგულად ცხადდება 2023 წლის 1 ოქტომბრის ოფერტა.
9.3. მოქმედი მომსახურების ხელშეკრულებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებიც დადებულია წინამდებარე ოფერტით გათვალისწინებული რეგულირებული მომსახურების ფარგლებში, შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი წინამდებარე ოფერტის განახლებულ რედაქციასთან კომისიის 2026 წლის 18 ივნისის №გ-26-19/281 გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

სს „საქართველოს რკინიგზის“ ფილიალ
„ვორლდ ბიზნეს სოლუშენსი“- ს
დირექტორი **გრიგორი კაჭარავა**

Grigor Katcharava 62001009511
Digitally signed by Grigor Katcharava
Date: 2026.08.07 16:22:33

მისამართი: საქართველო, თბილისი, 0102, თამარ მეფის გამზირი 15
ტელეფონი: (032) 2198949
ელ.ფოსტა: Giga.Katcharava@railway.ge

დანართი N1

აქცეპტის ფორმა

1. აქცეპტანტის მონაცემები:

აქცეპტანტის საფირმო სახელწოდება:	
სამართლებრივი ფორმა:	
საიდენტიფიკაციო ნომერი:	
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	
მარეგისტრირებელი ორგანო:	
იურიდიული მისამართი:	
დამატებითი ინფორმაცია: ელ. ფოსტა:	

2. აქცეპტანტის მიერ მოთხოვნილი მაგისტრალურ/ძირითად ("trunk") გადაცემის ქსელთან დაშვების მომსახურება:

მომსახურების გეოგრაფიული საზღვრები:
მოცულობა:

3. აქცეპტანტის წარმომადგენელთა საკონტაქტო ინფორმაცია:

საკონტაქტო პირი	**საკონტაქტო პირის პოზიცია**	**ელექტრონული ფოსტის მისამართი**	**საკონტაქტო ნომერი:**

შენიშვნა: წინამდებარე აქცეპტის ფორმაზე ხელმოწერით, აქცეპტანტი ადასტურებს, რომ იგი გაეცნო და ეთანხმება ოფერენტის მოწვევის ოფერტას პირობებს.

აქცეპტანტის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი, გვარი:

პოზიცია:

ხელმოწერა:

თარიღი:

დანართი N2

ოფერტის მოქმედების გეოგრაფიული საზღვრები:

- თბილისი - გარდაბანი
- თბილისი - მარნეული

დანართი N3
მომსახურების ტარიფები

1. ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელში ერთ კილომეტრზე, ერთი ძარღვის იჯარის ერთი თვის ღირებულება, გადასახადების გარეშე შეადგენს 14.9 ლარს.

2. მონაცემების ტრანსპორტირების მომსახურების ღირებულება 1 (ერთი) მეგაბიტ/წმ-ზე, გადასახადების გარეშე, შეადგენს 0,50 ლარს.

შენიშვნა: ტარიფების ცვლილება ხორციელდება მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობისა და კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე. წინამდებარე ოფერტაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემთხვევაში, აქცეპტანტისთვის ავტომატურად იცვლება ამ ოფერტით გათვალისწინებული მომსახურების ტარიფები.